„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №5-6 (9547-9548) ● 1-31 მარტი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

გილოცავთ!

ქართული ჟურნალისტიკის დღეს გილოცავთ თითოეულ ჟურნალისტს, ტელე, რადიო, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებს. თქვენ, თქვენი საქმიანობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მადლობას გიხდით გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებებს გისურვებთ.

ვახტანგ გადელია,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტის მერიაში

მუსიკალური სკოლის ისტორიული შენობა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა - რეაბილიტირდა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ისტორიული შენობა.

პროექტის ფარგლებში, წლების შემდეგ, პირველად, სრულად განახლდა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი და სცენა; რეაბილიტირდა სასწავლო ოთახები, კეთილმოეწყო დერეფანი, ასევე განახლდა მცირე საკონცერტო დარბაზი.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ჩატარებული სამუშაოები დაათვალიერა, ხელოვნების ცენტრს დაარსებიდან 5 წლის იუბილე მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ახლადრეაბილიტირებულ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საღამო, რომელშიც მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო და სამხატვრო სკოლების პედაგოგებმა და ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა ,,გოგალაიმ" მიიღეს.

დაარსებიდან დღემდე, ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრმა, 230 სახელოვნებო და შემოქმედებითი აქტივობა განახორციელა.

სახელოვნებო განათლებას 200-ზე მეტი მოსწავლე დაეუფლა.

ჩამოყალიბდა საბალეტო ჯგუფი;

სამხატვრო სკოლა ჩაერთო საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის პროექტში - ,,ნახატები ბიბლიურ თემებზე“:

პირველად განხორციელდა პროექტები - „კინო სკოლაში", ,,ქართული საეკლესიო გალობის ფესტივალი სენაკში“, ,,ხელოვნების საკვირაო, ზამთრის და საზაფხულო სკოლა“.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო), საესტრადო, საგუნდო სიმღერის, გიტარისა და ხალხურ საკრავთა შემსწავლელი განყოფილებები;

მიმდინარე სასწავლო წლიდან, ცენტრის სამუსიკო სკოლას დაემატა საორკესტრო მიმართულებები - ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტი - ინსტრუმენტებზე სწავლება.

სამხატვრო სკოლაში ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ძერწვა, კომპოზიცია.

არსებობის 5 წლის მანძილზე, ხელოვნების ცენტრის მოსწავლეებმა, რესპუბლიკურ და რეგიონალურ კონკურს-ფესტივალებში არაერთგზის მოიპოვეს გამარჯვება და ლაურეატის წოდება.სახელოვნებო-საგანმანათლებლო კერა - დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლა, განახლებულ, კეთილმოწყობილ გარემოში გააგრძელებს თავის საპატიო მისიას, რასაც მომავალი თაობის ხელოვნებასთან ზიარება ქვია.

მოსამზადებელი სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო ხორში-საჯიჯაოს დამაკავშირებელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.

პროექტი, რომლის ღირებულება 1 963 308 ლარს შეადგენს, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

აღნიშნულ ლოკაციაზე, წლების მანძილზე შექმნილი დაზიანებები და მოშლილი ინფრასტრუქტურა მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემას უქმნიდა.

მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, განახლებული გზით ორი ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა ისარგებლებს.

სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან, თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად გაეცნო.

პარალელურად, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და ადმინისტრაციულ ერთეულებში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ასევე, უახლოეს პერიოდში დაიწყება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების პროცესი.

ინტენსიურ რეჟიმში

საკირცხალიო-საკერძაიოს უბანში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.

პროექტის ღირებულება 1 264 219 ლარს შეადგენს.

პარალელურად, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიოს უბანში, შიდა საუბნო გზაზე, ასევე მიმდინარეობს ასფალტო ბეტონის დაგების პროცესი.

სამუშაოების ღირებულება 691 211 ლარს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან და თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან ერთად გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ქალაქური საღამო

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის და ადმინისტრაციული სამსახურების ორგანიზებით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქალაქური საღამო გაიმართა.

მონატრებული მსმენელს, სენაკელ ქალბატონებს, დედისა და ქალთა დღესასწაულები ყველა თაობისთვის საყვარელმა ანსამბლმა ,,შვიდკაცამ" და ტელეწამყვანმა, ზურა ბალანჩივაძემ მიულოცეს.

საღამოს მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ინფრასტრუქტურული პროექტები

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, ლუდუკ ხასია და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

2022 წლის ივნისის წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს შემდეგ ლოკაციებზე:

ღელე ფიცუ1-ის დაზიანებული საყრდენი კედლების აღდგენა-რეკონსტრუქცია თეფანიას ქუჩიდან რკინიგზამდე, თავისი შენაკადებით;

ღელე ფიცუ 2-ის დაზიანებული რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქცია, ჩხეტიას ქუჩიდან რკინიგზამდე, თავისი შენაკადებით;

დაზიანებული რკინა-ბეტონის ჯებირების და ხიდ-ბოგირების აღდგენა-რეკონსტრუქცია, სამხედრო ქალაქიდან თეკლათის მიმართულებით.

2023 წლის 11-13 იანვრის ქარიშხლის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების მოწყობა-რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს ცხრა ლოკაციაზე:

სამხედრო დასახლების №188-ში,№190-ში, №202-ში, №205-ში, ღვინჯილიას ქუჩის №5-ში (ორი კორპუსი),

აკაკი ელიავას №21-ში, ურიდიას ქუჩის №26-ში, ცაგარელის ქუჩის №27-ში.

რწმუნებულის მოადგილე და მუნიციპალიტეტის მერი ასევე გაეცნენ ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხიდიდან სტადიონამდე მიმავალი გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის პროცესს.

აღნიშნულ ლოკაციაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები პირველად ხორციელდება.

პროექტის დასრულების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე ათწლეულების მანძილზე მდგარი პრობლემა გადაიჭრება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2023 წლის 27 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

საკრებულოს სხდომას, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო შვიდი საკითხის განხილვა:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია,

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის შესრულებული წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხესენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრიკალანდარიშვილი,

3.,,სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილის სს ,,სილქნეტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე".

მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია,

4.,,ა(ა)იპ სენაკის სათემო განათლების ცენტრი"-სათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ 44.01.37.034 უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე".

მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია,

5.სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხესენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია,

6.სენაკის მუნიციპალიტეტის მერისთვის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე" მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხესენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია.

7. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი: იყო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია.

***

2023 წლის 2 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის

განხილვა:

1.სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე.

2 საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

***

2023 წლის 16 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სხდომა. სხდომას, ფრაქციის თავმჯდომარე, ლევან ჯინორია უძღვებოდა. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1 სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის, ირაკლი ცხვიტავას, განცხადების განხილა, თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის არჩევის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, ლევან ჯინორია.

***



2023 წლის 16 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომას, კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების და მოადგილის თანამდებობაზე არჩევის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებლი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის
უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

დაბადებიდან-79

,,ჟიული შარტავა -თაობათა ღირსეული მაგალითი"

7 მარტს საქართველოს ეროვნულ გმირს, სენაკის გამორჩეულ შვილს, სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილს, ბატონ ჟიული შარტავას 79 წელი შეუსრულდებოდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, ჟიული შარტავას მუ-

ზეუმმა, კულტურის ცენტრთან შეთანხმებით, შეიმუშავა ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა.

ჟიული შარტავას ხსოვნისადმი პატივმიგების მიზნით, 6 მარტს, მუზეუმის ფოიეში მოეწყო მისი ცხოვრების ამსახველი თემატური ფოტოგამოფენა, სახელწოდებით ,,მაშ, გაუმარჯოს, სიკვდილშიაც არდავიწყებას". ამავე დღეს, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, მკითხველებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და პერიოდული პრესის გამოფენას: ,,ჟიული შარტავა- ზვარაკად შეწირული სამშობლოს მთლიანობას".

კვირეულის ფარგლებში, მუზეუმებში ორგანიზებული სტუმრობით გამოირჩეოდნენ პირველი, მესამე, მეშვიდე, კერძო სკოლა ,,პელაგონია" და თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლები(კლასის ხელმძღვანელი ქალბატონები: თეა პარკაია, ლამზირა ბოკუჩავა, ნონა ახალაია, დოდო ჭანტურია, ნინო ფარულავა, ნინო ქორჩილავა, ესმა ნაროუშვილი, სოფო ზარანდია, ისტორიის პედაგოგი ირმა კუპრეიშვილი.

მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში მოსულ დამთვალიერებელთ მეგზურობას უწევდნენ ქალბატონები: ნანა ფირცხალავა, გრიალა მირგატია, ლალი გულუა და მაია ლაშქარავა. ფოტომასალაზე კი მუშაობდა ხათუნა ჭაავა.

მრავალფეროვნება გამოარჩევდა მეორე საჯარო სკოლის ჟიული შარტავას კლას-კაბინეტში, მეოთხეკლასელებთან, პედაგოგ მეგი გრიგოლიას მიერ ჩატარებულ ღია გაკვეთილს: ,,ჟიული შარტავა-თაობათა ღირსეული მაგალითი". საკლასო ოთახში უხვად იღვრებოდა თაფლის სანთლის სურნელი, ცრემლი ერთვოდა ღონისძიების მონაწილე მოსწავლეთა ამაღლებულ განწყობილებას.

მოსწავლეებმა (თამარ ადამიამ, მელანო ფაცაციამ, დეა ოკუჯავამ, მათე ყურაშვილმა, ლუკა კანკავამ, მაკა გოგინაშვილმა, ანდრია ბესელიამ, ეგრისი კირტავამ, ანასტასია ზარანდიამ, ოთარ გვათუამ, ბარბარე ზუხბაიამ, თეკლა ჯალაღონიამ, გაბრიელ წულეისკირმა, დავით შამათავამ, ქეთევან კუჭავამ, ირაკლი კინწურაშვილმა) დამსწრეთ გააცნეს ჟიული შარტავას ცხოვრების ცალკეული წლები, გააცოცხლეს აფხაზეთში სამშობლოსათვის მისი გმირულად თავდადების ეპიზოდები.

გაკვეთილი დასრულდა ტელეკომპანია TV-4-ის მიერ გადაღებული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის ,,ორივე მხარეს საქართველოა"(ავტორი თათია ნანობაშვილი) ფრაგმენტების ჩვენებით.

გაკვეთილის დასასრულს დამსწრეთ სიტყვით მიმართა ქალბატონმა მარინე აბრამიამ. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა სამშობლოსათვის თავდადებული გმირების თავგანწირვას, რომლებიც უკვდავების შარავანდედით შეიმოსნენ და თავიანთი ცხოვრება-მოღვაწეობით, ბრძოლის გზით გაუხუნარ მაგალითად დარჩნენ შთამომავლების მეხსიერებაში. ამასთან მ. აბრამიამ დამსწრეთა ყურადღება მიმართა უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებისა და თურქეთში, მიწისძვრით დატრიალებული მძიმე ვითარებისკენ.

გაკვეთილის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას. ღია გაკვეთილის მონაწილეთ სიტყვით მიმართეს ქალბატონებმა: ლალი გულუამ, ნატო საჯაიამ და ნათია თოდუამ.

სკოლის დირექციამ მადლობა გადაუხადა პედაგოგ მეგი გრიგოლიას, გაკვეთილის დაგეგმვის ლამაზი ჩანაფიქრისა და მისი ღირსეულად ჩატარებისათვის, სტუმრებს კი- პედაგოგისათვის საათანადო დახმარებისა და გაკვეთილის პროცესში მონაწილეობის მიღებისათვის.

7 მარტს, დილით, მუზეუმის თანამშრომლებმა წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ჟიული შარტავას, მისი ოჯახის გარდაცვლილ წევრებს და აფხაზეთის ომის გმირებს, ჩვენს თანაქალაქელებს: გენო ადამიას, გურამ გაბესკირიას, ნოდარ კანკიას, ლევან ჭუბაბრიას, რობერტ სანიკიძეს, ოთარ გოგოხიას, ლინა ეჯიბიას, რომლებმაც სამშობლოს ერთიანობისთვის გაწირეს თავი და მომავალ თაობას მამულიშვილობის წარუშლელი მაგალითები დაუტოვეს.

განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელობასთან და სკოლის დირექციასთან შეთანხმებით, სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით.

შემდეგ შევუერთდით ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას ბიუსტთან შეკრებილებს და ყვავილებით შევამკეთ ჟიულის, ხოლო აფხაზეთის სკვერში -გენო ადამიას, გურამ გაბესკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში დავესწარით დეკანოზ იოანე კუპრეიშვილის მიერ აღვლენილ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში დაცემულ პირთა სულების მოსახსენიებელ პანაშვიდს.

დღის ბოლოს დაგვიკავშირდა სენაკის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი ცისანა შარტავა. მან კეთილი განწყობა და დიდი სიყვარული გამოხატა 7 მარტის შეკრების მონაწილეებისადმი.,,მადლობა ჩემი ძმის-ჟიულის, შარტავების ოჯახის გარდაცვლილი წევრებისა და აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების მოგონებისათვის. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ყურადღებისათვის. მადლობა და დიდი სიყვარული მუზეუმების მთელ კოლექტივს"...

ზემოთ აღნიშნული დღე იყო ტკივილით, მონატრებითა და გამარჯვების რწმენით გაჯერებული...

მზია ჭაავა,
ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელი

ისტორიის კვალდაკვალ

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. რედაქცია მუნიციპალიტეტის მედიის წარმომადგენლებს, ვეტერან ჟურნალისტებს ულოცავს ამ დღეს.

რეგიონული მედიის განვითარების გარიჟრაჟზე, ჩვენი მხარის პირველი გაზეთიდან („კომუნა") შემოგთავაზებთ ერთ-ერთ პუბლიკაციას, იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი იყო წინამორბედი კალმოსნების წერის, ქცევის, სადაო საკითხთა გადაწყვეტის, მედიისადმი დამოკიდებულების... კულტურა.

ამხანაგო რედაქტორო!

გაზეთ „კომუნა" №7-ში მოთავსებულია ქოლობნის თემიდან Д ,М,-дзе -ს წერილი, რომელშიც ის ბრალს მდებს იმაში, ვითომც მე განმეზრახოს ქოლობნის თემის კოოპერატივის შეერთება მარნის თემის კოოპერატივთან და გაერთიანებული კოოპერატივის დაკავშირება სამტრედიის რაიკოოპერატივთან; ვითომც ასეთი დადგენილებაც კი გამოეტანოს მარნის თემის აღმასკომს. ვინაიდან ამ საქმეში არც მარნის აღმასკომს და არც პირადად მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, ამიტომ ზემოხსენებულ Д, М,-дзе -ს ვიწვევ მედიატორულ სასამართლოში, ვადას ვაძლევ დღიდან ამის გამოქვეყნებისა 15 დღეს; მტყუანმა მხარემ გაზეთ „კომუნა"-ს სასარგებლოდ გადაიხადოს 30 მანეთი ოქროთი და საქმის ვითარება იქნეს გაზეთის საშუალებით გამოქვეყნებული. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ სენაკის მაზრის პროფკავშირის თ-რე ამხ. ალექსანდრე ოჩიგავას.

მარნის თემის აღმ.თავ. პ.ნოდია
გზეთი ,,კომუნა", 1923 წლის №8

21 მარტი-ქართული ჟურნალისტიკის დღე

„ჟურნალისტობა – ცხოვრების წესია“

უდაოდ დასაფასებელია ჭეშმარიტი ჟურნალისტის საქმე, რადგან ის კოლოსალურ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. განსაკუთრებით იმ ჟურნალისტებისა, რომლებიც ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს, ხალხს ეიმედება, მათ პრობლემებსა და გასაჭირზე საუბრობს. დღესდღეობით, როდესაც ინტერნეტმა და ელექტრონულმა მედიამ მოიცვა სამყარო, საბედნიეროდ ბეჭდურმა სიტყვამ მაინც შეინარჩუნა ხიბლი და მკითხველის სიყვარული.

პირველი „ქართული გაზეთი“ 1819 წელს დაარსდა. მისი თავდაპირველი სახელი „საქართველოს გაზეთი“ იყო. ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი“. სწორედ აქედან იწყება ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღედ 1993 წელს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააწესა.

ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ნომრის სტუმარია ლიზა ჭითავა, სენაკის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული. იგი ახლა ეუფლება ჟურნალისტის ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო პროროფესიას.

ლიზა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლობს. სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ძირითადი სპეციალობაა ჟურნალისტიკა.

საინტერესოა ჩვენი დამწყები ჟურნალისტის პირველი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები პროფესიის შესახებ.

ლიზა რა პარალელს გაავლებ სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრებას შორის.

ჩემი აზრით ეს ორი განსხვავებული ცნებაა. სასკოლო ცხოვრებაც ხომ თავის მხრივ, რამდენიმე ნაწილად იყოფა. ეგრეთ წოდებული დაწყებითების ასაკი, სადაც შენს სასკოლო ცხოვრებას მთლიანად ოჯახი და სკოლა განსაზღვრავს. შემდეგ მოდის უკვე შეგნებული პერიოდი, მოსწავლის ცხოვრებაში, სადაც ის თავად იღებს პასუხისმგებლობების ნაწილს და უკვე შემდგომ დგება დამამთავრებელი კლასების სასკოლო ცხოვრება, რომელიც ერთგვარი შესავალია სტუდენტური ცხოვრებისა. საუნივერსიტეტო ცხოვრება მთლიანად დამოკიდებულია სტუდენტზე, მის მონდომებაზე, შრომისუნარიანობაზე, ინტერესზე... სტუდენტური თვითმმართველობა ძალიან დიდ როლს თამაშობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. სკოლის მოსწავლეები თითქოს შეზღუდულნი არიან ამ მხრივ, ერთი რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, სტუდენტებიც და მოსწავლეებიც აუცილებლად, სრულფასოვნად უნდა იყვნენ ჩართულები იმ დაწესებულების ცხოვრებაში, რომელიც მათ განათლებასა და მომავალზე ზრუნავს.

რამ განაპირობა შენი პროფესიული არჩევანი, ჟურნალისტის პროფესიის სიყვარულმა თუ ახლობელთა რჩევამ.

ჩემი პროფესიული არჩევანი, რა თქმა უნდა საკუთარმა სურვილმა განაპირობა. მოგეხსენებათ, როგორც წესი პროფესიის არჩევის დროს ოჯახის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას. ჩემთან მზგავსი შემთხვევა არ ყოფილა, რაც მახარებს.

თვლი თუ არა, რომ ჟურნალისტის უპირველესი თვისება უნდა იყოს გამბედაობა და სწორი პოზიციის დაკავება.

ჟურნალისტის უპირველესი თვისება და მოვალეობაა იყოს გამბედავი და შეეძლოს სწორი პოზიციის დაკავება. მორცხვი და მშიშარა ადამიანი ვერ იქნება ჟურნალისტი.

მომავალში სად მოიაზრებ საკუთარ თავს: პრესაში, ტელევიზიასა თუ რადიოში.

მინდა საკუთრი თავი ყველგან გამოვცადო, იქნება ეს ტელევიზია, რადიო თუ პრესა, მაგრამ ჩემს გულთან ახლოს უფრო ტელევიზაა.

ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით რას უსურვებ შენს თანაკურსელებს და საერთოდ ქართველ ჟურნალისტებს.

პირველ რიგში ყველა ჟურნალისტს ვულოცავ 21 მარტს. სამწუხაროდ უხვადაა დილეტანტი ჟურნალისტები, რომელნიც თითქოს პროფესიას დაეუფლებიან, მაგრამ ამ დროს ტელეეკრანზე აშკარად ჩანს, რომ ისინი არ არიან მოწოდებით ჟურნალისტები. ასეთ ჟურნალისტებს მოვუწოდებდი პროფესიონალიზმისკენ. ჟურნალისტობა ხომ მხოლოდ პროფესია არ არის, ეს ცხოვრების წესია.

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია ყველა ჟურნალისტს ულოცავს პროფესიულ დღეს. უსურვებს, რომ ყოფილიყვნენ ობიექტურები, მიზანსწრაფულები, წარმატებულები პროფესიულ საქმიანობაში, ჩვენს პირველკურსელ რესპონდენტს წარმატებებს საყვარელი პროფესიის დაუფლებაში.

მარიკა მიქაბერიძე

ვამაყობთ მათი მიღწევებით

„წიგნების თარო" ახალგაზრდული ლიტერატურული შოუა, რომლის თემატიკას ლიტერატურასთან ერთად სხვადასხვა შემეცნებითი სფერო წარმოადგენს. „წიგნების თაროს" სასკოლო სეზონში რჩეული 32 სკოლის გუნდი მონაწილეობს. თითოეულ გუნდში სამი, მე-10, მე-11, ან მე-12 კლასის მოსწავლეა. სტუდენტურ სეზონში კი მთელი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესო 16 გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს.

უკვე მერამდენედ გვახარებენ თავიანთი მიღწევებით წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზიის აღსაზრდელები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა კონკურსებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სპორტულ შეჯიბრებებში და ჯილდოვდებიან შესაბამისი დიპლომებით, სერთიფიკატებით, ფასიანი საჩუქრებით.

დღეს ჩვენი სტუმარია XII კლასის მოსწავლე, თიბისი ბანკის სტიპენდიანტი, ნიჭიერი, მიზანდასახული მამუკა ლაშქარავა, რომელიც ანზორ კოკაიასა და ლევან ჭანტურიასთან ერთად წარმატებით მონაწილეობს ,,წიგნების თაროს" ბოლო სეზონში.

მამუკა გილოცავთ წარმატებას, მოგვიყევი პროექტის შესახებ.

,,წიგნების თარო" მოსწავლეებს გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები. მონაწილეობის მისაღებად გავიარეთ გასაუბრება. თამაში სამი ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე გუნდები ცხრა ლიტერატურულ რაუნდს თამაშობენ. სწორი პასუხი სამი ქულით ფასდება, დამატებითი დროის განმავლობაში გამოცნობის შემთხვევაში – ორი ქულით, თუ პასუხის გასაცემად წამყვანის მინიშნება გახდა საჭირო –ერთი ქულით.

მეორე ეტაპზე მონაწილეები ერთმანეთს გუნდურად ეჯიბრებიან ქართული თემატიკის კითხვების გამოცნობაში. ამ

რაუნდში სამი ორქულიანი შეკითხვაა: ისტორიაში, გეოგრაფიასა და კულტურაში. მეორე ეტაპი გრძელდება ზოგადი რაუნდებით, რომლებიც სამი კითხვისგან შედგება და მოთამაშეები ინდივიდუალურად ეჯიბრებიან ერთმანეთს ხელოვნებაში, მეცნიერებასა და სპორტში. კითხვის სწორი პასუხი ფასდება ორი ქულით, დამატებითი დრო და წამყვანის მინიშნება მეორე ეტაპზე არ მოქმედებს.

მესამე ეტაპით თამაშს ასრულებს ბლიც-ტური. ბლიცში მხოლოდ ერთი მოსწავლე მონაწილეობს, რომელსაც გუნდი თავად ირჩევს. მისი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტ კითხვას უპასუხოს ერთი წუთის განმავლობაში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ჯამურად მეტ ქულას დააგროვებს. პრქოექტის მონაწილეები წიგნებით, პლანშეტებით, ვაუჩერებით და სხვადასხვა პრიზით საჩუქრდებიან, პროექტის გამარჯვებული გუნდები კი დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში მიემგზავრებიან.

ჩვენ დავამარცხეთ ხევაშენისა და თბილისის №50 საჯარო სკოლის გუნდები და მეოთხედფინალში გადავედით. მე და ჩემი მეგობრები აქტიურად ვემზადებით მეოთხედფინალისთვის.

ბლიც-ტურში 18 სწორი პასუხი დააგროვე, ეს იყო ჩემი აზრით საუკეთესო შედეგი, შენ როგორ შეაფასებდი საკუთარ თამაშს?

ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო სწორედ ბლიც-ტურნირი. თუმცა ძალიან კმაყოფილიც არ ვარ, რადგანაც შემეძლო უკეთესი შედეგიც მიმეღო.

თქვენს სკოლაში ტარდება ინტელექტუალური თამაში ,,რა, სად, როდის", რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ,,მამუკა ლაშქარავას ექვსეული".

ეს არის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და ინტელექტკლუბის მიერ ორგანიზებული თამაშების სერია ,,რა, სად, როდის". 10 თებერვალს შედგა ორი თამაში. მე და ჩემმა გუნდის წევრებმა მოვიპოვეთ პირველი გამარჯვება და ფინალში გასვლის შანსი. მომდევნო თამაში გაიმართება 17 მარტს.

შენი სამომავლო გეგმები?

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, უკვე გადაწყვეტილი მაქვს მომავალი პროფესია, ვაპირებ ჩავაბარო საერთაშორისო ურთიერთობებზე. ამ ეტაპზე ჩემთვის მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებით დასრულება და აქტიური მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.

ვის მიულოცავდი ქალთა დღესასწაულებს?

ჩემს დედას, პედაგოგებს, კლასელებს, ქალბატონებს ყველას ვულოცავ გაზაფხულის დღესასწაულებს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, გაზაფხულივით ლამაზი, ფერადოვანი და სიცოცხლით სავსე ყოფილიყოს თითოეული მათგანის ცხოვრება.

მადლობას გიხდით ჩემი მიღწევების წარმოჩენესათვის

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მამუკას და მის მეგობრებს მოპოვებულ წარმატებას, გვჯერა რომ ფინალშიც გაიმარჯვებენ და გვასახელებენ. ჩვენ ვამაყობთ მათი მიღწევებით.

მაია ჭუბაბრია

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ

„ვკითხულობ იმაზე მეტს, ვიდრე ადრე”

მნიშვნელოვანია, ოჯახი თუ სამსახური? ქალის მხრებს მძიმე ტვირთად ხომ არ აწვება ორივე ერთად?

ჩემთვის ორივე ძალიან მნიშვნელოვანია, ოჯახიც და სამსახურიც. ვთვლი, რომ ქალმა უნდა მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება. მისასალმებელია, რომ თანამედროვე ქალები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თუმცა ქალი პირველ რიგში უნდა იყოს კარგი დედა, კარგი მეუღლე, კარგი დიასახლისი. ძლიერია ის ქალი, რომელიც კარგად უთავსებს სამსახურეობრივ მოვალეობას და საოჯახო საქმიანობას ერთმანეთს.

მე მიმაჩნია, რომ სამსახური არის ოჯახი, სადაც უფრო მეტ დროს ატარებ, ვიდრე სახლში, მიუხედავად ჩემი ასაკისა, ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ სამსახური ჩემთვის მძიმე ტვირთია.

რას უსურვებთ ქალბატონებს?

ყველა ქალბატონს ვულოცავ გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულებს, ბედნიერი დღეები გქონოდეთ, ცხოვრება ისე გაგევლოთ, რომ დაკარგული წლების სინანული არ გაგყვეთ.

უფლის წყალობა დაგბედეთ, არ მოგაკლდეთ სიხარული, სიყვარული, სიკეთის კეთების სურვილი, მთავარია ერთმანეთი გვიყვარდეს, სიყვარული კი ყოველივე სიკეთის საწყისია. ეს საწყისი არ მოგვშლოდეს.

როგორი გახსოვთ ,,კოლხეთი" , რას უსურვებთ 100 წლის გაზეთს.

,,კოლხეთი" ჩვენი რაიონის მემატიანეა. მის ფურცლებზე ობიექტურად აისახებოდა სენაკის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა. რედაქცია ყოველთვის დაკომპლექტებული იყო ნიჭიერი ჟურნალისტებით. რაც თავი მახსოვს ყოველთვის მოუთმენლად ველოდებოდი ახალი ნომრის გამოსვლას.

ვულოცავ იუბილეს საუკუნოვანი ისტორიის მქონე გაზეთს, რედაქციის თითოეულ თანამშრომელს. წარმატებებსა და ერთგული მკითხველის სიმრავლეს გისურვებთ, მრავალი წელი ღირსეულად გეტარებინოთ ღირსეული გაზეთის სახელი.

გასული წლის სტიქიამ (წყალდიდობა) დიდი ზარალი მომაყენა. ძალიან დიდი დახმარება გამიწია მუნიციპალიტეტის მერიამ. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას დახმარებისათვის და გულისხმიერებისათვის.

მშვენიერო და სათნო ქალბატონო, გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ. თქვენთან ერთად ვულოცავთ ყველა დედას, ქალს, მეგობარს, კოლეგას. ღვთის მადლი ყოველთვის იყოს თქვენი და ყველას მფარველი.

მაია გერგაია

,,დედაქალაქის მაყურებელი ოვაციით

გვახარებს ჩვენი საამაყო, დიდი წარსულისა და ტრადიციების მქონე თეატრის მიღწევები. ამჯერად თეატრის დასი თბილისში იყო მიწვეული, სადაც დედაქალაქის უპირველეს თეატრში გამართა სპექტაკლი და თეატრალური საზოგადოების, მაყურებელთა... განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. რედაქცია გულწრფელად გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას.

თეა წულუკიანი – საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი

შესანიშნავი თანამშრომლობა შედგა აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრსა და ჩვენს განუმეორებელ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრს შორის. ამ სეცენაზე ვიხილეთ ვახტანგ ნიკოლავას მიერ დადგმული სპექტაკლი. ჩვენ ვნახეთ დედაქალაქის გახარებული მაყურებელი, რომელიც ოვაციით შეხვდა რეგიონის თეატრს. სენაკის თეატრმა აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ გააკვირვონ თბილისელი მაყურებელი.

ვულოცავ ამ დიდ ზეიმს ყველას, განსაკუთრებით სენაკს და რასაკვირველია მადლობას მოვახსენებ სენაკის თეატრს, მის შემოქმედებით დასს. ასევე ბატონ რობერტ სტურუას და რუსთაველის თეატრს ასეთი შესანიშნავი თანამშრომლობისთვის.

სოფი ჩალაშვილი- მსახიობი

,,ძალიან გახარებული ვარ, რომ დღევანდელი დღე და ჩვენი სპექტაკლი „ჰარპაგონი“ დღეს ასე წარმატებით გაიმართა. როგორც მსახიობი ძალიან ბედნიერი ვარ, მომეცა შანსი, რომ მეთამაშა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის ამ არაჩვეულებრივ სცენაზე, ეს არის ყველა მსახიობის ოცნება და ეს იყო ჩემი ოცნებაც, რომელიც ასე გრანდიოზულად ამიხდა. არასდროს არ დამავიწყდება ეს დღე"

ვახტანგ ნიკოლავა - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 142 წელს ითვლის. დიდი ტრადიციის მქონე თეატრმა კიდევ ერთი საოცარი ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში. ეს არის მართლაც საოცარი რამ, სენაკის თეატრმა ითამაშა რუსთაველის ეროვნულ თეატრში. ეს სენაკისთვის და კერძოდ ჩვენი თეატრალური დასისთვის არის დიდი მოვლენა. პირადად მე ვარ დიდი ემოციების ქვეშ.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დიდ საქმეში. რათქმაუნდა ფორმატი არ მომცემს იმის საშუალებას, რომ ყველა სათითაოდ დავასახელო. მაგრამ მინდა ყველაზე მნიშვნელოვანი ვთქვა. მადლობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და კერძოდ ბატონ ვახტან გადელას.

სენაკელებს რომ დაგვიჭირეს მხარი, მადლობა რუსთაველის ეროვნულ თეატრს და ბატონ რობერტ სტურუას ასეთი განსაკუთრებული და გულთბილი მიღებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელმაც უპრეცენდენტო მხარდაჭერა გამოუცხადა არა მარტო სენაკის თეატრს, არამედ მთელ თეატრალურ სივრცეს.

ეს არის დაუვიწყარი დღე სენაკის თეატრისთვის.

ირაკლი ადამია - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი

როგორც ვიცით შარშან მსოფლიომ აღნიშნა მოლიერის დაბადებიდან 400 წლისთავი. ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, რომ ეს თარიღი ჩვენს თეატრს ამ მოვლენით აღენიშნა. ბატონმა ვახტანგმა შემომთავაზა ეს როლი და ბუნებრივია დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. რომ არა ხელშეწყობა კულტურის სამინისტროდან და ჩვენი მუნიციპალიტეტიდან... დღევანდელი დღე არ შედგებოდა. 2023 წლის 22 თებერვალი ჩვენი თეატრის არსებობის 142 წლის განმავლობაში ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა, ჩვენ ვართ ბედნიერები, ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი თეატრის ისტორიაში.

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში

2023 წლის 22 თებერვალი განსაკუთრებული დღე იყო სენაკის თეატრისათვის. თავისი არსებობის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, იგი პირველად ჩავიდა რუსთაველის ეროვნულ თეატრში და მაყურებლის წინაშე წარსდგა გახმაურებული სპექტაკლით „ჰარპაგონი“.

კომედიის მეფედ წოდებულმა, მაღალი კომედიის ჟანრის ფუძემდებელმა ჟან-ბატისტ მოლიერმა 1668 წელს დაწერა პიესა ,,ძუნწი“, რომლის მიხედვითაც დაიდგა სპექტაკლი ,,ჰარპაგონი“. ნაწარმოები ეხება პრობლემებს,რომლებიც ძალზე აქტუალურია. პიესის მთავარი თემაა ადამიანისა და საზოგადოების სწრაფვა მატერიალური კეთილდღეობისაკენ და მის მოსაპოვებლად სულიერი, ადამიანური ღირებულებების უარყოფა. სწორედ მოლიერის სახელს უკავშირდება სენაკის თეატრის პირველი წარმოდგენა ,,ძალად ექიმი“, რომლის პრემიერა 1881 წელს გაიმართა, ამიტომაც შეიძლება ითქვას ,რომ ,,ჰარპაგონი“ სენაკის თეატრის რეპერტუარის ისტორიული მემკვიდრეობის გაგრძელებაა.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია - ვახტანგ ნიკოლავა; მხატვარი - აივენგო ჭელიძე; კოსტიუმების მხატვარი - სოფი ჩალაშვილი; ქორეოგრაფი - დავით მეტრეველი; მუსიკალური გამფორმებელი - ვახტანგ ნიკოლავა, ირაკლი ადამია.

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს კულტურის,სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, რომლის უშუალო ხელშეწყობითა და თანადგომით განხორციელდა ,,ჰარპაგონის“ დადგმა.

სპექტაკლი ,,ჰარპაგონი“ გამორჩეული სცენოგრაფიით, საინტერესო მუსიკალური და ქორეოგრაფიული გაფორმებით, ულამაზესი სასცენო კოსტიუმებით, ცეკვის პლასტიკით, პარიკებითა და მსახიობების საშემსრულებლო განწყობით, სრულად პასუხობს მოლიერის დროინდელ ეპოქას. ამიტომაც საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური პრემიით, სეზონის საუკეთესო ქორეოგრაფიული ნამუშევარისათვის დაჯილდოვდა სპექტაკლის ქორეოგრაფი -დავით მეტრეველი.

(გაგრძელება გვ 5)

შეხვდა რეგიონის თეატრს”

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში

(გაგრძელება)

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სპექტაკლის მთავარი პერსონაჟის - ჰარპაგონის როლის შემსრულებლის, სენაკის თეატრის დირექტორის, მსახიობ ირაკლი ადამიას მიერ შესანიშნავი არტისტიზმითა და საოცარი გარდასახვით შექმნილი საინტერესო სახე: ცბიერი, უგულო, ძუნწი ადამიანისა, რომლისთვისაც მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობაა მთავარი, ფული კი ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია.

ამ როლმა მსახიობს უდიდესი წარმატება და დამსახურებული აღიარება მოუტანა.

საინტერესო და შთამბეჭდავია თამარ აბშილავა-კობახიძის მიერ განსახიერებული ფროსინას როლი, მსახიობმა მაღალი პროფესიონალიზმით, დახვეწილი მსახიობური მანერებით, საოცარი გარდასახვით მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა.

ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობის სოფი ჩალაშვილის მიერ საოცარი არტისტიზმით, დახვეწილი მანერებით და პროფესიონალიზმით შესრულებულმა მარიანას როლმა და ლამაზად ნამღერმა ფრანგულმა მელოდიამ, რომელმაც განსაკუთრებული, სითბო და სინაზე შეჰმატა სპექტაკლს, აღაფრთოვანა მაყურებელი.

სენაკის თეატრის ძველი თაობის მსახიობებმა: თენგიზ თოფურიძემ და ტარიელ ზურაბაშვილმა, ანსელმისა და ჟაკის როლის შემსრულებლებმა, თავიანთი მსახიობური ოსტატობით კიდევ ერთხელ მოხიბლეს მაყურებელი.

პერსონაჟთა საინტერესო და დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მსახიობებმა: ლადო კოკაიამ - ვალერი, ზურაბ ზურაბაშვილმა - ლაფლეში, ელგუჯა ნოდარიძემ- კომისარი ლამერლუში. ჯამბულ ჭანტურიამ - ბრანდუან სიმონი, ეკა კოღუამ - კლოდი.

სასიხარულოა, რომ სენაკის თეატრის მსახიობებთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობენ ფოთის თეატრის ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობები: რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემია ,,ალალე-ს'', საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი მამაკაცის ჯილდოს მფლობელი - ირაკლი კვერღელიძე, რომელმაც ჰარპაგონის შვილის, კლეანტის, საინტერესო სახე შექმნა და ანი ანდღულაძე, რომელმაც ელზას როლი მშვენივრად მოირგო და ტაშიც დაიმსახურა.

წარმოდგენას ესწრებოდნენ კუტურის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები: კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები, დედაქალაქის და არამარტო დედაქალაქის სხვადასხვა სფეროს მუშაკები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია და კულტურის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი.

სპექტაკლი სრული ანშლაგით ჩატარდა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მადლიერი მაყურებელი 20 წუთი უკრავდა ტაშს, იყო ყვავილები, ოვაციები და სენაკელთა გულწრფელი სიხარულის ცრემლები... ეს კი თეატრის დასისთვის გამარჯვება და ნამდვილი დღესასწაული იყო, რასაც უნდა ვუმადლოდეთ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის ახალ სამატვრო ხელმძღვანელს, უნიჭიერეს რეჟისორს, ჭეშმარიტ ხელოვანს ვახტანგ ნიკოლავას, რომ არა მისი მაღალი პროფესიონალიზმი, საქმისადმი სწორი მიდგომა და თავდაუზოგავი შრომა, თეატრი უმოკლეს დროში, ასეთი წარმატებული ვერ გახდებოდა და ვერც დედაქალაქის მაყურებლის გაკვირვებას შეძლებდა.

წარმატებულ გასტროლს ვულოცავ სენაკის თეატრის ხელმძღვანელობას, შემოქმედებით ჯგუფს, ტექნიკურ პერსონალს და ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია სენაკის თეატრი და სასიხარულოა მისი წარმატება.

სენაკის თეატრს ვუსურვებ შემოქმედებით წინსვლას, საინტერესო სპექტაკლების სიმრავლეს, მაყურებლის სიყვარულს და პატივისცემას.

მარინა ლიფონავა,
სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრის
სალიტერატურო ნაწილის გამგე

„ერთ სულიერებით გართული“

„ზამთარი მიყვარს, არანაკლებ გაზაფხული“ – გვეუბნება მარტის 29-ში დაბადებული ქალბატონი და შორეთს გახედავს. გორგლად დახვეულ ფიქრს მეტი რა უნდა, დაბზრიალდება, უცებ შემოერღვევა ხვიას ფიქრის ძაფები... ცხოვრების აღმართ-დაღმართიან გზა-შარას დაეფინება დედის ღიმილად, მამის მონატრებად, უდარდელ ხანად, ომის წლებად, ამბებად, შტრიხებად, სურათ-ხატებად. ჩვენი რესპონდენტის ღაწვს შუქი გადუვლის, თვალებში სხივი გაკრთება – თურმე თავის თავს ხედავს, შორეული ბავშვობა მოტანტალებს ქუჩაზე.

„მენატრება განვლილი წლები, წარსული მენატრება”... დასცდება ბაგეთ. ეს ქალბატონი მანანა ბაახია გახლავთ, რაიონის საგანმანათლებლო სფეროში წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად მოღვაწე. წარმოშობით აბაშელია, მშობლები სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ყოფილან, როცა შეუღლებულან, მალე სამამულო ომს მოუსწრია და... მამა სამხედრო ჰოსპიტლის დაბომბვისას, სადაც ქირურგად მუშაობდა, იღუპება. დასაფლავებულია კენისბერგში, სოფელ უშაკოვოს საძმო სასაფლაოზე.

ჩვენმა რესონდენტმა დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, სამსახურეობრივი კარიერა პიონერხელმძღვანლის სტატუსით დაიწყო. შემდეგ რა როგორ -- თავად მოგვიყვება.

ქალბატონო მანანა, განათლების სისტემაში ხანგრძლივი მუშაობის ისტორია გაქვთ, გასახსენებელი ბევრი გექნებათ, მოგვიყევით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავინიშნე ცხაკაიის მე-5 საშუალო სკოლაში(დირექტორი პარმენ გოგინავაა) უ/პ ხელმძღვანელად, სადაც საუკეთესო 2 წელი გავატარე. ერთხელაც აქტივზე დირექტორმა აღნიშნა ჩემი ერთგული მუშაობის შესახებ. სხვა დროს, მასწავლებელთა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, ხელმძღვანელების ყურადღება დავიმსახურე და გადმომიყვანეს სამუშაოდ კომკავშირის რაიკომში. პირველი მდივანი იყო ელენე ადამია. ჯერ სექტორის გამგედ, შემდეგ სასკოლო განყოფილება ჩამაბარეს. ეს იყო აღმაფრენის, ჩამოყალიბების, ახალგაზრდული შემართების, ნაყოფიერი მუშაობის წლები.

შემდეგ ამირჩიეს განათლების უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ, სადაც ვიმუშავე 22 წელი. მუშაობა მიხდებოდა ისეთ ღვაწლმოსილ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ: იერეთეოზ კერძაია, ვალერიან უჩანეიშვილი, ნოე ჭანტურია, გიორგი ჯანჯღავა, ზურაბ ნაფეტვარიძე, კარლო კალაძე, ზურაბ ხოჭოლავა. ეს იყო ჩემთვის სკოლა- ცხოვრებისეული მეგობრული დამოკიდებულებით, ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხის გვერდით მიხდებოდა შრომა და მოღვაწეობა. ეს იყო საინტერესო, რთული და ნაყოფიერი წლები, რომელმაც ბევრი რამ შემძინა. იყო სირთულეც, იყო კონკურენციაც, მაგრამ ყოველთვის ზურგს მიმაგრებდა ჩემი საყვარელი უფროსი თაობა - განათლების განყოფილების სრული შემადგენლობა, სკოლათა დირექტორები, ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებიც ჩემს მეხსიერებაში დარჩნენ უერთგულეს ადამიანებად. მათთან გავიარე „სკოლა აკადემია“, თუმცა თვითკამყოფილი არ ვარ. მიუხედავად დიდ ხნის გავლისა, ის წლები დაუვიწყარია ჩემთვის. ჩვენი ხელმძღვანელი, ბრძენკაცი, ბატონი კალე შარტავა იყო კაცი- მასწავლებელი, რომელიც ყოველ გამოთქმულ აზრში სიბრძნეს დებდა. ქონდა განსხვავებული, ხალხში მოარული იუმორი. მასთან სუფრასთან მოხვედრა იყო დიდი სკოლა, იყო პუნქტუალური, დათქმულ დროში ყველაფერს ასრულებდა. თამადად მას არ ირჩევდნენ, ის ამ სტატუსით მიდიოდა სუფრაზე და ყველას აფრთხილებდა, თამადაზე მეტი არ ილაპარაკოთო. აქაც დაცული იყო სუფრის ადათ-წესები. მოლხენა უყვარდა, მაგრამ ყველაზე ბედნიერი იყო, როცა შუა ქვალონის კოლორიტულ რესტორანში მოხვდებოდა. ძალიან უყვარდა იქაურობა, წარმოშობით იქედან იყო. ბევრი რამ მახსოვს მაგ სულმნათი ადამიანისაგან და მისი მეუღლისაგან, ქალბატონი ფენია დარასელიასაგან. ნათელში იყოს მათი სულები.

ოთხმოცდაათიან წლებში, ოჯახური მდგომარეობის გამო საცხოვრებლად თბილისში გადავედი. ჩემი სული და გული სენაკში დარჩა. გამყვა უფროსი მეგობრების დიდი სითბო და სიყვარული. თავიდან ვმუშაობდი გაზეთ ,,გრაალში", რომლის რედაქტორი იყო უნიჭიერესი ლაშა გვასალია. შემდეგ კი გაზეთ ,,სიმართლეში" განყოფილების რედაქტორად, რომელიც იყო კახეთის მხარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ორგანო. ამ წლებმა შემაყვარა კახეთი და მისი არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარე ხალხი. მაშინ მხედრიონის გამო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შავი ღრუბელი იყო ჩამოწოლილი. უნდა მოვფერებოდით ერთმანეთს. ჩვენ ეს შევძელით. ლექსში ,,კახური გვირგვინები" გამოვხატე ჩვენი მეგობრობის ურყევობა და სიმტკიცე.

სენაკი მასპინძლობს პოეზიის დღეებს: ბორის გაბუნია, რეზო ჯანჯღავა, გოგოლა მზარელუა, მანანა ბაახია, ლალი გოგინავა, ციალა ნოდია, ანზორ ცაგურია, ბადრი ბარკალაია

ვინ არის ის ადამიანები, რომლებიც თქვენს მეხსიერებაში მოწიწების გრძნობით დარჩნენ?

ძალიან ბევრი ჩემი ყოფილი მასწავლებლი და დირექტორი შემდეგში ჩემი მეგობარი გახდა, თუმცა აქ ზღვარი ნამდვილად არსებობდა. მათდამი მოწიწება და პატივისცემა მუდამ გამაჩნდა, ნათელი იმათ ხსოვნას, ვინც ამჟამად აღარ არიან: ბატონი კალე შარტავა, მიტო ბახტაძე, ვახტანგ ალანია, პარმენ გოგინავა, ჟორა ურიდია, არველოდ საჯაია, ნინა გუგუნავა, ნოე კაკაშვილი, დოდო სართანია, დავით გაბუნია, გრამიტონ სართანია, ლუნა ელიავა, ქეთო თოდუა, ქორდიკო ესართია, იონა მიქაძე, ოთარ ცეკვაშვილი და ბევრი სხვა, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, ეს ადამიანები ჩემს მეხსიერებაში დარჩნენ კრძალვითა და მოწიწებით. ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხის წიაღში ვტრიალებდი 22 წელი და მათი სითბოთი ვთბებოდი.

მოსწავლეობის წლები როგორ გახსოვთ?

სენაკის თითქმის ყველა სკოლაში ვისწავლე გარდა მე-4 რუსული სკოლისა. დედა იმ პერიოდში მუშაობდა სკოლის ექიმად და ჩვენც იმ სკოლაში გადავყავდით, სადაც თვითონ იყო დასაქმებული. ყველგან კარგი მასწავლებლები და მეგობრები მყავდა. 1960 წელს დავამთავრე მე-3 საშუალო სკოლა. კლასის დამრიგებლები იყვნენ: ლეონიდე ცხადაია, თინა გვასალია. ლეონიდე მასწავლებლის ძალიან მერიდებოდა, მომთხოვნი და მკაცრი იყო. თინა მასწავლებელთან უფრო მეგობრულად ვიყავით. ლიტერატურა ძლიერ მიყვარდა. სტუმარი თუ მოვიდოდა ზემდგომიდან, გაკვეთილს მე მაყოლებდნენ და ქებასაც ვიმსახურებდი. სასკოლო კედლის გაზეთს ვრედაქტორობდი, ლექსებსაც ვწერდი და სიხარულით ცას ვეწიე, როცა ჩემი ლექსის მოკლე სტროფი გაზეთ „კოლხეთში“ ვიხილე, პატივცემულ ლამარა გადელიას საშვიდნოემბრო სტატიის მიმოხილვაში.

ჩვენ გვასწავლიდნენ ბრწყინვალე მასწავლებლები- ტერენტი ნანავა, გალინა ოკუჯავა, ტატიანა ერმულაევა, ვალია დგებუაძე, ოთარ გვაძაბია, ეთერი გოგოლიშვილი, კლარა კვაშილავა. იმ დროს სკოლის დირექტორი იყო ვარლამ განგია, სასაწავლო ნაწილი ლუბა ტყებუჩავა.

თაობათა შორის ყოველთვის არის განსხვავებული ხედვა, თანამედროვე ახალგაზრდებს რას ურჩევდით?

ცხოვრება წინ მიდის და თაობათა შორის დამოკიდებულება მეტნაკლებად იცვლება.

თანამედროვე ცხოვრებაში ძალიან იგრძნობა თაობათა შორის ურთიერთპატივისცემის ფუნქციის შესუსტება. სულ სხვაა აზრთა სხვადასხვაობა, კამათი და სულ სხვა უფროსი თაობისადმი უპატივცემულობის გამოხატვა. მე არ მომწონს მინიშნება ცხელ ხაზზე დარეკვის თუ მშობელმა სიმკაცრე გამოიჩინა. ახლა ახალგაზრდებს შენიშვნას ვერ მისცემ. მე ვიცი ოჯახი, რომელიც დაინგრა იმის გამო, რომ შვილმა მამას უჩივლა და მამამ ოჯახი დატოვა.

თქვენი ცხოვრების მთავარ სიმდიდრედ რას მიიჩნევთ?

პირდაპირ გეტყვით, სამშობლოსა და ხალხის, სენაკელების სიყვარული, იმ დიდი არმიის სიყვარული, რომელიც ყოველთვის ზურგს უკან იდგა და ყველა ჩემს გაჭირვება საჭიროებას იზიარებდა. ეს არის ჩემი სიმდიდრე და კიდევ ჩემი შვილები - ალეკო და სოფიკო, შვილიშვილები- ბარბარე, კონსტანტინე და დავითი. მინდა მათ ვუსურვო უშფოთველი მშვიდი ცხოვრება, თქვენს გაზეთს კი წარმატებები და წინსვლა.

წლების მანძილზე რაიონის ერთადერთი გაზეთი იყო „კოლხეთი“ ბუნებრივია თანამშრომლობდით მასთან, ალბათ ბევრი დეტალი იცით, გვიამბეთ.

სენაკში წლების მანძილზე ერთადერთი გაზეთი იყო „კოლხეთი“. მე როცა ბავშვი ვიყავი ამ გაზეთს ერქვა „ავანგარდი“, შემდეგ „კოლხეთის ცისკარი“, ხოლო გასული საუკუნის 70 -იან წლებში მას „კოლხეთი“ დაარქვეს. გაზეთს სხვადასხვა დროს უნარიანად ხელმძღვანელობდნენ სენაკის მკვიდრნი, ღირსეული მოქალაქენი, პროფესიონალი ჟურნალისტები - ვლადიმერ წირღვავა, მამანტი ქვარცხავა, ბორის მილიუტინი, მოკოდი აბშილავა, გალაქტიონ რობაქიძე, ბორის შენგელია, სოლომონ კუჭავა, რეზო ჯანჯღავა, მორდეხ გაგულაშვილი, ლამარა გადელია, გოგოლა მზარელუა, კარლო ტაბაღუა, შოთა ხარებავა, იონა გვასალია. რადიო გადაცემის განყოფილებაში მუშაობდნენ და გადაცემები მიჰყავდათ ვალია დგებუაძეს, ელენე ადამიას, ნანა ფაჩულიას. გაზეთი მრავალ საინტერესო ღონისძიებას აშუქებდა. მე ვიყავი გაზეთის საიუბილეო 50 წლის თავის ზეიმის მონაწილე. ვერავის გამოვარჩევ, მოკლედ გეტყვით. ჩემ დროს რედაქტორი იყო ბორია მილიუტინი, წესრიგის მოყვარული, კარგი ორგანიზატორი და არაჩვეულებრივი ჟურნალისტი. გალაქტიონ რობაქიძე იუმორით აღსავსე, მის ხასიათში ყოველთვის პოზიტივი ჭარბობდა, თუმცა საქმის დროს მომთხოვნი იყო, ის უფრთხილდებოდა თანამშრომლებს და მას ყველა პატივს სცემდა, როგორც ერუდირებულ და საქმიან ხელმძღვანელს. ბორის შენგელია- საოცრად მეგობრული, მოსიყვარულე ადამიანი, ჩემი უფროსი მეგობარი იყო. ბევრი მაქვს მისი ნაჩუქარი ავტოგრაფიანი წიგნები. გოგოლა მზარელუა- ძალიან საინტერესო და საქმიანი ჟურნალისტი, მიყვარდა მასთან საუბარი, ხშირად ვიყავით ღონისძიებებზე ერთად. ჰქონდა საოცარი იუმორის გრძნობა. ბატონი ილო წირღვავა- გვატკბობდა საუბრით. მასზე ერთ კურიოზს გავიხსენებ. იმ პერიოდში ბევრი სამგზავრო მატარებელი ჩერდებოდა ჩვენთან: ,,მოსკოვი-თბილისი", ,,სოჩა-თბილისი", ამ მატარებლებს ხვდებოდა და რძეს ყიდულობდა, რძიან ბოთლებს, რომელიც ბადურით მოჰქონდა, ასეთი წარწერა ამშვენებდა „რძეს ვყიდულობ მატარებელში“. ეს იმიტომ, რომ მაშინ მისი ქალიშვილი მედიკო ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორი იყო და ვინმეს არ ეფიქრა, რძე იქედან მოაქვსო.

თქვენ და სენაკი. როგორი სულიერი კავშირია თქვენს შორის?

დედა, მე და ჩემი და საცხოვრებლად აბაშიდან სენაკში, რომ გადმოვედით, 9 წლის ვიყავი. აქ სახლი არ გვქონდა და ნათესავებმა შეგვიფარეს. დედა სამსახურში, რომ წავიდოდა, ჩვენზე მეზობლები ზრუნავდნენ, მათი შენიშვნა არ გვწყინდა, პირიქით გვერიდებოდა უფროსების. მაშინ სკოლა, ოჯახი, ქუჩა, საზოგადოება – ყველა ერთობლივად ზრუნავდა ბავშვებზე. ასე რომ, 50-იანი წლების სენაკი ჩემს მახსოვრობაში, მეგობრობის, ნათესაობის სიმბოლოდ რჩება. დღეს რომ ვართ განებივრებული ფუფუნების საშუალებებით, მაშინ არ გვქონდა, მაგრამ ჩვენთვის

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

„რომ სუნთქვასავით გარდასული“

(დასასრული)

ყველაზე მეტი სიმდიდრე იყო ერთმანეთის სიყვარული და ყურადღება.

ყველაზე ძალიან რა დამამახსოვრდა? გაგეცინებათ მაგრამ შავი, მრგვალი, პირველყოფილი რადიო, მოლაპარაკე ფირფიტა კედელზე, მიკვირდა და მაინტერესებდა, მავთულებს ხმა როგორ მოჰქონდათ ჩვენამდე. ამაზე ბევრჯერ დავფიქრებულვარ.

მაშინ სენაკს ცხაკაია ერქვა. აქ ერთად და მეგობრულად ცხოვრობდა ყველა ეროვნების ხალხი, ებრაელი, სომეხი, რუსი, იეზიდი... არ მახსოვს ეროვნული ნიშნით ვინმეს ერთმანეთი დაემცირებინა.

შვილებთან სოფიო და ალექსი გაბისონიებთან

ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანაზე სიღარიბე და სიდუხჭირე სუფევდა. ჭირდა ცხოვრება, მაშინ ბავშვი ვიყავი, მახსოვს ნავთის (საწვავის) უსაშველო გრძელი რიგები, ნავთი იყიდებოდა დიდ მოედანზე. ორი მოხუცი ყიდდა საწვავს, ეფრემი და ბეგარი ერქვათ. სკოლიდან იქ მივდიოდით და ვიდექით რიგში, რომელიც სტაბილური არასოდეს იყო. საწვავის დამთავრებისთანავე არსებული რიგი იშლებოდა და ახლ რიგში ისევ თავიდან გიხდებოდა ჩადგომა, რაც დაღამებამდე დარჩენას და გვიან ღამით დაბრუნებას ნიშნავდა. ზოგჯერ ხელცარიელიც დავრჩენილვართ, მაშინ ეს ჩემთვის შრომაც იყო და გართობაც, მიუხედავად ქაოსისა, არ მახსოვს ჩხუბი და აყალმაყალი ერთმანეთში.

კალისტრატე შარტავა და მანანა ბახია ბ. ბალანჩივაძესთან ერთად

მიყვარდა ჩემი ქალაქის ქუჩებში სიარული, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში, მახსოვს ქუჩის პატარა ნაკადულები გარბოდნენ სადღაც და მზის და ყვავილების სიმღერას მღეროდნენ.

ვიზრდებოდით ჩვენ და ჩვენთან ერთად იზრდებოდა ჩენი ქალაქიც. ისე შემიყვარდა სენაკი, არდადეგებზე ბებოსთან რომ მივდიოდი, სიხარულითა და მონატრებით ვბრუნდებოდი უკან. განსაკუთრებით მიყვარდა, როცა „ელექტრიჩკით“ ტეხურის ხიდს გადმოვივლიდი და საკირე და ეკის მთა გამოჩნდებოდა, თითქოს ერთმანეთს ვესალმებოდით, ეს ემოცია დღემდე შემომრჩა.

მენატრება ქალაქის კოლორიტები, ჩემი მშობლების თაობა, თავს რომ მიტოლებდნენ. მათთვის უცხო იყო შური, რისხვა, პირიქით ისინი ნამდვილი მეგობრები იყვნენ.

მენატრება ღონისძიებები, სპექტაკლები, პედაგოგიური საზოგადოება, სკოლები, ფაბრიკა-ქარხნები, კვების ობიექტები, წარსულში დარჩენილი ყველა მოგონება სენაკთანაა კავშირში და მე ამით ვცხოვრობ.

სენაკი ჩემი სუნთქვაა. თვალდახუჭულს შემიძლია ვთქვა მისი განვითარების ისტორია, როგორ იზრდებოდა, შენდებოდა და მშვენდებოდა.

მეამაყება, რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივითა და მართლაც ჩემი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად რომ შეიქმნა ნოქალაქევის პიონერთა ბანაკი, რომლის საგზურზედაც კოლოსალური მოთხოვნა იყო.

ერთხელ სოციალური ქსელში ვიღაცამ კითხვა დადო: „თქვენი ცხოვრების წიგნი რომ გქონდეთ შედგენილი, რას დაარქმევდითო“? უპასუხეს მრავალთა, მათ შორის ქალბატონმა მანანამაც – „დრო სუნთქვასავით გარდასული“. ეს სამი სიტყვა წარსულს, აწმყოსა და მომავალს თავის თავში ატარებს. ნოსტალგიით, მონატრებით ფეთქავს, ცხოვრების გზაზე მარცვალ-მარცვალ შეგროვილ სითბოს, სიხარულს, სიყვარულს ასხივებს. „დროის მაჯისაცა შემტყობარი“ ამ სამი სიტყვის მიღმა მთელი სამყაროა, რომელსაც ჩვენი რესპონდენტის ცხოვრების გზა ჰქვია. ამიტომაც ეს სამი სიტყვა შევურჩიეთ სათაურად ჩვენს წერილსაც.

ქალბატონო მანანა, ახლა მარტია, თქვენი დაბადების თვე, დედებისა და ასულების თვე. გილოცავთ სამივე დღესასწაულს ერთად. სულის სიმხნევეს, ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელობას გისურვებთ.

მადლობა გულახდილი დიალოგისათვის!

ნინო სართანია

დედის თბილი ხელები ყოვლისშემძლეა

საქართველოს ისტორიაში ქალის როლი ყოველთვის გამორჩეული იყო. ქართველმა ქალებმა, დედებმა სხვადასხვა დროს დაამტკიცეს, რომ მისი შესაძლებლობები უსაზღვროა.

ძლიერი ქალისა და თავდადებული დედის საუკეთესო მაგალითად გვევლინება 95 წლის ქალბატონი თათუშა ბასილაია-ჭაავა.

ოჯახზე ზრუნვაში დაღლილს და დახარჯულს ყოველთვის ეგონა, რომ ჯერ კიდევ არ ჰქონდა საქმე ბოლომდე დასრულებული. გათენდებოდა მეორე დღე და ქალბატონი თათუშა ახლიდან იწყებდა ყველაფერს იგივე თავდადებით, იგივე მონდომებით...

ასე გაილიენ წლები...შვილები მალხაზი და თენგიზი საუკეთესო სპეციალისტებად და მოქალაქეებად აღზარდა. ოჯახები შექმნეს. შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა გაძლიერეს ფუძე.

პროფესიით პედაგოგებისთვის სკოლა მეორე ოჯახი იყო. სენაკის №1 საჯარო სკოლაში თაობებს უნერგავდა მსოფლიოს ხალხთა, ასევე საქართველოს ისტორიას.

-ყოველთვის თბილი და ყურადღებიანი ვიყავი მოსწავლეების მიმართ, არასოდეს მიმიმართავს ,,მკაცრი მეთოდებისათვის", ყოველ მათგანში ვხედავდი ქვეყნის ხვალინდელ დღეს...

სწორედ პროფესიისადმი თავდადებამ და მკლავმოუღლელმა გარჯამ მოუტანა შრომის ვეტერანის წოდება, განათლების სამინისტროს სიგელები, განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში მონაწილეობისათვის, 2020 წელს მიენიჭა საპატიო მოქალაქის წოდება.

ქალბატონი თათუშა დღესაც თავისთავს მოიაზრებს შვილებზე გადაგებულ დედად. – თქვენ წარმოიდგინეთ, იმის მიუხედავად ჩემი

შვილები, შვილიშვილებიც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მაგრამ მე როგორც დედას და ბებიას მაღელვებს მათ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი.

თათუშა ბასილაია უდიდესი მოკრძალებით იღებს წიგნების თაროდან მეუღლის ვაჟა ჭაავას ხელშენავლებ ნივთებს, ფოტოებს და მოგონებებში იძირება. წლები გადიოდა, რიგრიგობით ჩნდებოდნენ წინა პლანზე ხან საერთო ოჯახური ინტერესები, ხან პირადული, ხან პროფესიული შრომით საკითხები, თუმცა იგი ყოველთვის ახერხებდა წარმატებული ყოფილიყო სახლშიც და სამსახურშიც.

რესპონდენტს ძალიან უყვარს გაზაფხული, მარტის თვე, რომელ-

საც ორი ულამაზესი თარიღი 3 და 8 მარტი, დედის და ქალთა დღეები ამშვენებს.

მინდა ყველა ქალს მივულოცო დედის და ქალთა დღეები, ჩემს რძლებს ქეთინოს და ნინოს, ჩემს შვილიშვილებს, ყოფილ კოლეგებს, მეზობლებს, მეგობრებს. მივმართავ ახალგაზრდებს, დააფასეთ დედები, ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე გაჩუქათ. დედის ალერსიან და თბილ ხელებს ყველაფერი შეუძლია. მხოლოდ დედის გულში არ ქრება სიყვარული, რა ასაკისაც არ უნდა იყოს.

ქალბატონი თათუშა ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველია, მის ფურცლებზე დაიბეჭდა რესპონდენტის ლექსები, ბიოგრაფიული ნარკვევები.

ვულოცავთ ქალბატონ თათუშას დედის და ქალთა დღეებს. ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს, სწორედ თათუშას მსგავსი ქალბატონები გვაძლევენ მაგალითს განვამტკიცოთ ქალისადმი ფაქიზი მოპყრობის ტრადიცია და გავამყაროთ ოჯახის ინსტიტუტი.

მედეა ბალათურია

ვასილ ბესელია - 70

ძვირფასო ბატონო ვასილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უნიჭიერეს, საკუთარი ხელწერის მქონე წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი პოეტური დებიუტი 1978 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ პირველი ორი ლექსი („ღიმილის ბიჭები“, „სურვილი“) გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული ტექსტები - ლექსები, მოთხრობები, ნოველები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ დიდებული პოეტი ბრძანდებით, ისეთი, რომლის პოეტურ ნააზრევთან ზირება მუდამ სიხარულს ანიჭებს მკითხველს. ამიტომაცაა, რომ თქვენი პოეტური კრებულები („წვიმიანი მაისი“, „კარდიოლექსები“, „ვიდრე იყავ და ვიდრე არა ხარ“) მკითხველთა მოწონებით და ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი მირიადი პრობლემით და სადარდელით სავსე ყოველდღიურობის მემატიანე, რომელმაც კარგად იცის, რომ კაცთა მოდგმის აბსურდული ბედის დავთრები უფლის განგებით დანისლულია, ისიც მოეხსენება, თუ როგორ უტევს გრიგალები ჯმუხა ბერბუხებს, ქართველთა მოდგმის არსებობის ნიშანსვეტებს, შეჰყურებს, თუ როგორ წყდებიან მტრედების კლავიშები წვიმებით გალუმპულ კლავესინს. სწორედაც რომ წვიმებში სურს გადასახლება, რათა ჩამოირეცხოს წუთისოფლის მტვერი და ჭუჭყი, წვიმების რეკვიემია



მისი მუდმივი თანამგზავრი, რადგანაც იცის, რომ სიცოცხლე წყლის ნაყვაა მხოლოდ, საცრით წყლის ზიდვა, ხოლო სიკვდილი - შეწერილი გადასახადი, ისიც კარგად მოეხსენება, მუხლზე დაცემას ზეცად ამაღლება რომ მოჰყვება ზოგჯერ. ბევრი რამის დანახვა შეუძლია, თუნდაც იმისა, თუ მტკივან მხარზე როგორ უზის ღამეს ვეება მთვარე პეპელასავით, როგორ ცრის ჩუმი სინანულის მლაშე წვეთები, ღვინოში ჩაწვეთებული ერთი ცრემლით შეუძლია ქარიშხლების დატრიალება. დიდი სიყვარულიც შეუძლია და უკანასკნელი სიყვარულის მერმე მორჩილად ელოდება უკანასკნელ ღალატს...

თქვენი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, უკრაინულ, რუსულ ენებზე. თავად კი ჩინებულად თარგმნეთ საბჭოთა იმპერიის მსხვერპლის სერგეი ესენინის ლექსები.

ავტორი ხართ ნოველების კრებულისა „წინიყურე“ რომ ჰქვია და თქვენი პოეზიის ორგანულ გაგრძელებად გვესახება.

ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელს სხვადასხვა დროს გიმუშავიათ მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, გაერთიანება „საქკვებმანქანის“ ინჟინერ-მექანიკოსად, თბილისის ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორად... ბოლო წლებში მუშობდით სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსად და ამ უმშვენიერესი კუთხის სულიერი განვითარების უკეთილშობილეს საქმეს ემსახურებოდით. არაერთი ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრი ყოფილხართ. ამჟამად კი ლიტერატურული კონკურსის „ქუჯის“ შეუცვლელი თავმჯდომარე ცდას არ აკლებთ, რათა ეს კონკურსი ამართლებდეს ჩვენი დიდი წინაპრის, საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი მესაძირკვლის ქუჯის სახელს.

თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ გალაკტიონ ტაბიძის, ჯემალ აჯიაშვილის, რევაზ ინანიშვილის, თამაზ ნივწივაძის სახელობის, „საგურამოსა“ და „მოდინახეს“ პრემიები. სულ ახლახან მათ რიცხვს ილია ჭავჭავაძის პრემია და ოქროს მედალი შეემატა. არჩეული ხართ სენაკის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო ვასილ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რედაქცია ულოცავს ბატონ ვასილ ბესელიას საიუბილეო თარიღთან ერთად ილია ჭავჭავაძის პრემიასა და ოქროს მედალს. უსურვებს დღეგრძელობასა და შემოქმედებით წინსვლას.

დაბადებიდან -100

ლეონტი ჩიხლაძე

ხელოვნების დაუღალავი მოამაგის, ცნობილი ლოტბარის, მუსიკოსის, საზოგადო მოღვაწის, შემოქმედისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის, ლეონტი ჩიხლაძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

უფროსი თაობის სენაკელებისათვის მისი ცხოვრება-მოღვაწეობა ზედმიწევნით ცნობილია, რადგან ის იყო გამორჩეული, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული პიროვნება, თავისი საქმის პროფესიონალი, ახალგაზრდების მოყვარული, მათი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაზე მზრუნველი.

ბატონმა ლეონტიმ მთელი თავისი ცხოვრება მუსიკას, გამორჩეულად-ხალხურ სიმღერას მიუძღვნა. იგი დაიბადა სენაკში 1923 წლის 10 თებერვალს. 1942 წელს დაამთავრა ქალაქის მესამე საშუალო სკოლა. 1941 წელს ცნობილმა რემა შელეგიამ მიიწვია სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. 1943 წლიდან მაშინდელ ცხაკაის სახელმწიფო თეატრში იწყებს მუშაობას მსახიობად. 1952 წელს ამთავრებს სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებას, ხოლო 1966 წელს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას. 1951 წლიდან ლეონტი ჩიხლაძე სათავეში ჩაუდგა სენაკის სამუსიკო სკოლას. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული აღნიშნული სკოლის აღმავლობის პერიოდი. ამავე სკოლაში მუშაობდა მისი მეუღლე გალინა ტეკნეჯიანი, რომელმაც თავისი ენერგიული მუშაობით შეძლო სამუსიკო სკოლის აღმავლობაში შეეტანა დიდი წვლილი.

იგი, როგორც ლოტბარი 1949 წლიდან იწყებს მოღვაწეობას. ხელმძღვანელობს სხვადასხვა გუნდებს, ანსამბლებს, თვითმოქმედ კოლექტივებს, რომლებიც წარმატებებს აღწევენ ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში რესპუბლიკის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ. პირველი მომღერალთა გუნდი, რომელთანაც ლეონტი ჩიხლაძეს მოუწია მუშაობა, იყო ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი 1949-50 წლებში, შემდგომ კი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეთა კოლექტივს ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით რკინიგზის და ქალაქის №1 საშუალო სკოლებში ეწეოდა გუნდის მასწავლებლის საპატიო ჭაპანს.

1969 წლიდან 1985 წლამდე ბატონი ლეონტი ხელმძღვანელობდა მშობლიურ მესამე საშუალო სკოლის გუნდს. 1974-76 წლებში აბაშის მეორე საშუალო სკოლასა და პროფსასწავლებელში მომღერალთა გუნდებს, ამავე წლებში ცხაკაიას სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებული გუნდს.

ბატონი ლეონტის მოღვაწეობის უმთავრესი სფერო იყო ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია", რომელიც მან კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა 1959 წელს, რომელსაც ,,ოდოია-59" დაერქვა. 1991 წელს ანსამბლს მიენიჭა სახალხო-ფოლკლორული ანსამბლის სტატუსი და ეწოდა ნოკო ხურციას სახელი. ანსამბლი იყო მრავალგზის რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი.

1996 წელს ლ. ჩიხლაძემ, სამუსიკო სკოლის ბაზაზე ჩამოაყალიბა ბიჭუნების ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია-96", რომელმაც დიდი როლი ითამაშა მოზარდების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში.

ლეონტი ჩიხლაძე აქტიურად იყო ჩართული ქალაქის საესტრადო ცხოვრებაში. იგი იყო გაზეთ ,,კოლხეთის" შტატგარეშე კორესპონდენტი და რედაქციის ხშირი სტუმარი. წერდა წერილებს ხელოვნებაზე, ქალაქის მნიშვნელოვან საკითხებზე.

,,ღირსების ორდენის" კავალერი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, სენაკის საპატიო მოქალაქე და კიდევ ვინ მოთვლის ჯილდოებს, რეგალიებს, წოდებებს, რომელიც თავისი ხანგრძლივი და თავგანწირული მოღვაწეობისათვის მიიღო ლეონტი ჩიხლაძემ, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული, მოწიწება და პატივისცემაა, რითაც ეს დიდი მოღვაწე დაუვიწყარი იქნება მომავალი თაობებისათვის.

ლეონტი ჩიხლაძე გარდაიცვალა 2003 წელს, ,,კოლხეთელები" მოწიწებით თავს ვხრით უხუცესი ხელოვანის ხსოვნის წინაშე.

ხსოვნა

ლია ჯორჯიკია

კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა...

წავიდა ჩვენგან საუკეთესო სპეციალისტი, დამსახურებული ფარმაცევტი, ღირსეული ადამიანი, შეუდარებელი მეგობარი ლია ჯორჯიკია. წავიდა და დაგვიტოვა უსაზღვრო ტკივილი, სევდა და მოგონება.

მის პიროვნებაში საოცრად იყო შერწყმული კეთილშობილება, თავაზიანობა, თავმდაბლობა.

ეს წუთისოფელი ღირსეულად გაატარა, რამდენიმე ათეული წელი ემსახურა საყვარელ საქმეს, ისე, რო მისი მრწამისთვის არასოდეს უღალატნია. უხმაუროდ, ჩვეული სიდინჯით აკეთებდა თავის საქმეს. ჩუმად, უპრეტენზიოდ, მოთმინებით იცხოვრა და ჩუმადვე განერიდა საწუთროს.

გაუსაძლისი ტკივილით, გულწრფელი ცრემლებითა გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე. რომ იცოდე, როგორი მწარე დანაკლისი ხარ შენი დის მადონასთვის, ბიძაშვილებისა და მათი შვილებისათვის, ახლობლებისა და ჩვენთვის,შენი მეგობრებისათვის.

ჩვენო ლია, შენი სამუშაო მაგიდიდან მომზირალი მომღიმარი სახე და სათნო სულის საოხად დანთებული სანთელი ჩაუმქრალ კელაპტრად ანთია ჩვენს გულებში.

ხშირად მოვალთ შენს საფლავთან, მოვეფერებით მიწას, დაგინთებთ წმინდა სანთელს, იქნებ ასე მაინც შეგვიმსუბუქდეს ის ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. შევთხოვთ მაცხოვარს, სამარადჟამო სასუფეველი დაუმკვიდროს შენს კეთილშობილ სულს.

მეგობრები



სტანდარტებთან შესაბამისობაში

სტომატოლოგიური კლინიკა ის ადგილია, სადაც სტუმრობა აუცილებლობის გამო გვიწევს, თუმცა გულზე დიდად არავის გვეხატება, მეტიც, ბევრი პაციენტისათვის ჩემი ჩათვლით კოშმარს უდრის. ეს ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზითაა გამოწვეული, რასთან გამკლავებასაც არაერთი სტომატოლოგი სხვადასხვა გზით ცდილობს: იქნება ეს კლინიკის ინტერიერის გახალისება თუ პაციენტებთან განსაკუთრებული, მზრუნველობითი მოპყრობა. დამეთანხმებით ალბათ ყველაზე მთავარი მომსახურების ხარისხია. სწორედ ამ და სხვა მრავალი კუთხით გამორჩეულია... **მაია და ბიძინას სტომატოლოგიური კაბინეტი,** მდებარე რუსთაველის ქუჩა №182-ში. მაღალი ხარისხის აღჭურვილობითა და მოწყობილობებით კაბინეტი ახერხებს, რომ მის კლიენტებს მოემსახუროს ხელმისაწვდომ ფასებში. სტომატოლოგიური კაბინეტი დაკომპლექტებულია ლიცენზირებული პროფესიონალებისაგან.

მათი მიზანია ჰქონდეთ პაციენტებზე მორგებული სამედიცინო მომსახეურება. ექიმები: **მაია ხვიჩია, ბიძინა ჭითანავა**, დამხმარე ასისტენტი **სამანა ჯიქია** შეგიქმნიან მყუდრო გარემოს და გაგიწევენ შესაბამის მომსახურებას უმაღლეს დონეზე.

სტომატოლოგიურ კაბინეტში საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტით სამედიცინო საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტაციის ყველა მოთხოვნა დაცულია. მასალები და აღჭურვილობა, რომელსაც აქ იყენებენ, არის მსოფლიოში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

მე თავად ვისარგებლე აღნიშნული სტომატოლოგიური კაბინეტით და იმდენად მომეწონა, რომ გადავწყვიტე ჩემი შთაბეჭდილებები თქვენთვისაც გამეზიარებინა. ეწვიეთ და თავად დარწმუნდებით. აქ თავს ნამდვილად იგრძნობთ კომფორტულად.

ნაირა ჭლარკავა

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაჯაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499